„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი სოფიო ბვეტაძე
“25“ 05 2025 წ.

საქართველოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატი შშმ პირთა შორის

ქ. ბათუმი, 14 - 18 ივნისი, 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორგანიზატორები:
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია.
აჭარის პარალიმპიური სპორტული ფედერაცია.

ფინანსური მხარდამჭერი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი.

1. ჩატარების ვადები და ადგილი:
14.06-18.06. 2025 წ. ქ. ბათუმი, სასტუმრო “იბის სტაილს ბათუმი”. მის: ლეხ. და მარია კაჩინსკების ქუჩა 5ბ.

2. ღონისძიების მართვა:
განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. სათამაშო წესები:
3.1. დროის კონტროლი: 45 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.
3.2. ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული ან წრიული სისტემით 7 ტურად.
3.3. ქალთა ტურნირში 8-ზე ნაკლები მონაწილის შემთხვევაში ვაჟთა და ქალთა ტურნირები გაერთიანდება.
3.4. დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

4. მონაწილენი და რეგისტრაცია:
4.1. ჩემპიონატში დაიშვებიან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები, რომელთაც აქვთ შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი და შევსებული აქვთ ფედერაციაში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა https://forms.gle/ZGdjH68jACZ7R5v28.
4.2. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/s6VpPawiGDoqaEEKA ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 12 ივნისის 18:00 საათი.
რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
საკონტაქტო ელ. ფოსტა: info@acf.ge მობ: 599 069497, 558 41 09 04
4.3. სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5. თაი – ბრეიქი:
ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
შვეიცარიული სისტემის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

წრიული სისტემის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;

თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

6. ტურნირის განრიგი:

ჩამოსვლის დღე	14 ივნისი	
ტურნირის გახსნა	15 ივნისი	15:00 სთ.
I ტური	15 ივნისი	15:30 სთ.
II ტური	16 ივნისი	12:00 სთ.
III ტური	16 ივნისი	15:00 სთ.
IV ტური	17 ივნისი	12:00 სთ.
V ტური	17 ივნისი	15:00 სთ.
VI ტური	18 ივნისი	12:00 სთ.
VII ტური	18 ივნისი	15:00 სთ.
დახურვა	18 ივნისი	17:00 სთ.

7. დაჯილდოება:

- 1 ადგილზე გასული ვაჟები და ქალები დაჯილდოვდებიან თასით, მედლით, დიპლომით და ფასიანი საჩუქრით.
- 2-3 ადგილზე გასული ვაჟები და ქალები დაჯილდოვდებიან მედლით, დიპლომით და ფასიანი საჩუქრით.
- ტურნირის ყველა მონაწილეს ასევე გადაეცემა სამახსოვრო საჩუქრები.

8. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

9. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი - სალომე მელია

მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი - ალექსი ტერ-კარაპეტიანი